ეროვნული ბიბლიოთეკა

186/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. თებერვლის 11 № 1 თბილისი

შინაარსი

4284

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1. საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ.
2. საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
3. საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოებაში გაგზავნილ სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის შესახებ.
4. საქართველოს სსრ სასოფლო სექტორისა და კოლმეურნეობათა დასახლებული პუნქტების სახანძრო დაცვის დროებითი დებულების გაუქმების შესახებ.
5. საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.
6. სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდისათვის ანარიცხების გადიდების შესახებ.
7. იმ დოკუმენტების ნუსხის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.
8. საქართველოს კინოფიკაციის ტრესტის შესახებ.
9. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტორო ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.
10. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წარმოებაში გაგზავნის პირობების შესახებ.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1. საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 23 აგვისტოს დადგენილებისა „საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 50, მუხ. 405), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნას დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, საწარმოთა და ცალკეულ მოქალაქეთა კუთვნილი საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაცია და დარგოლება.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საფოსტო მტრედების რეგისტრაცია და დარგოლება.

3. საფოსტო მტრედების რეგისტრაცია და დარგოლება საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე ჩატარდეს 1939 წლის 15 დეკემბრიდან 1940 წლის 15 თებერვლამდე.

4. ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია, საწარმო და ცალკეული მოქალაქეები მოვალენი არიან მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებში რეგისტრაციაში გაატარონ მათი კუთვნილი საფოსტო მტრედები შეძენის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

შენიშვნა: ნამატის რეგისტრაცია ხდება ერთი თვის ვადაში დღიდან მისი გამოჩეკისა.

5. დაწესებულებანი, ორგანიზაციები, საწარმოები და ცალკეული მოქალაქეები ვალდებულნი არიან ყველა საფოსტო მტრედი, რომელიც მათ აღმოაჩნდებათ მაგრამ მათ არ ეკუთვნის (დაჭერილი, ირაო და სხვ.) ჩააბარონ მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს.

6. დაევალოს საქალაქო საბჭოებს, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს საფოსტო მტრედების რეგისტრაციისა და დარგოლების ჩატარებაში.

7. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების დამრღვევთ გადახდებათ ჯარიმა 100 მანეთამდე ყველა მტრედის სავალდებულო კონფისკაციით.

8. ეს დადგენილება არ ვრცელდება თავდაცვის სახალხო კომისარიატის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილ მტრედებზე.

9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 14 ივნისის დადგენილება „საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 13, უხ. 154).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. **რუხაძე.**

1939 წ. დეკემბრის 14. № 2406.
თბილისი.

---

2. საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ გამოცემული დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„საფოსტო მტრედების სავალდებულო რეგისტრაციისა და დარგოლების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 1, მუხ. 1). გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 14 დეკემბრის დადგენილების მე-4 მუხლის შენიშვნა — ამოიშალოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. **რუხაძე.**

1940 წ. იანვრის 28. № 72.
თბილისი.

---

3. საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოებაში გაგზავნილ სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის შესახებ.

იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოებაში გაგზავნილი სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უზრუნველყოფილ იქნან ბინებით და შეექმნათ მათ მუშაობისათვის საჭირო პირობები, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველჰყონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და უბნებში სამუშაოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნილი სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტი საცხოვრებელი ფართობით, სპეციალისტის რაიონში ჩასვლის შემდეგ არაუგვიანეს სამი დღისა.

2. შესაბამისად მე-3 მუხ. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 4 თებერვლის დადგენილებებისა ზოოტექნიკურ და ვეტერინარულ მუშაკთა ხელფასის მომატების შესახებ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 10, მუხ. 70, 71) დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს უზრუნველჰყონ საბინაო ფართობისა და ტრანსპორტის უფასოდ დათმობა საუბნო ზოოვეტქსელის მუშაკებისათვის.

3. იმისათვის, რომ წარმოებაში გაგზავნილ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს სამუშაოდ გამგზავრების დროს მიეცეს ხვედრი საგზაო თანხები, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლისა, დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს (ამხ. ციმაკურიძეს) მისცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 700.000 მანეთი.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1940 წ. 1 მარტს წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ანგარიში აღნიშნული თანხის დახარჯვის შესახებ, ხოლო ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოქვითოს ეს ხარჯები სათანადო რაიონების ბიუჯეტებიდან ავანსად გაღებული თანხის აღსადგენად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 5. № 146.
თბილისი.

---

4. საქართველოს სსრ სასოფლო სექტორისა და კოლმეურნეობათა დასახლებული პუნქტების სახანძრო დაცვის დროებითი დებულების გაუქმების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 2 ნოემბრის დადგენილებისა „სასოფლო დასახლებული პუნქტების სახანძრო დაცვის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 56, მუხ 548), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმდეს დროებითი დებულება საქართველოს სსრ სასოფლო სექტორისა და კოლმეურნეობათა დასახლებული პუნქტების სახანძრო დაცვის შესახებ და დროებითი დებულება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 22 მაისის დადგენილებით „ხანძარსაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაალმდეგო დაცვის დარგში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 14, მუხ. 58).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 184.
თბილისი.

---

5. საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 22 სექტემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი საცხოვრებელ სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და ჯარების სამსახურში“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 53, მუხ. 462) და დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივნისის დადგენილებისა „საქართველოს სსრ საბინაო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 16, მუხ. 79), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მე-11 მუხ. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 20 მარტის დეკრეტისა „მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭერილ სადგომებიდან“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 3, მუხ. 53; 1932 წ. № 20, მუხ. 178; 1933 წ. № 25, მუხ. 316; № 26, მუხ. 338; 1936 წ. № 3, მუხ. 23; 1938 წ. № 16, მუხ. 79) დაემატოს პუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

„ზ“) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილ საცხოვრებელ სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისა და ჯარების სამსახურში“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 53, მუხ. 462).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 185.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 სექტემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის მუსიკალური ფონდის შექმნის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 53, მუხ. 460), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ გამომცემლობებს შეიტანონ სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდში ანარიცხები იმ საავტორო ჰონორარის თანხის 5%-ის რაოდენობით, რომელსაც ისინი ხელშეკრულებათა მიხედვით გასცემენ მუსიკალური ნაწარმოებებისა და მუსიკათმცოდნეობის შრომებისათვის.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ სანახაობათა საწარმოებს შეიტანონ სსრ კავშირის მუსიკალურ ფონდში:

ა) ანარიცხები მუსიკალური სპექტაკლებისა (ოპერა, ოპერეტა, ბალეტი და სხვ.) და საესტრადო კონცერტებისაგან მიღებული საერთო შემოსავლიდან 2%-ის რაოდენობით;

ბ) ანარიცხები იმ კლასიკოს-კომპოზიტორთა ნაწარმოებების საჯაროდ შესრულებისათვის, რომელთა თხზულებანიც აღიარებულია სახელმწიფოს კუთვნილებად;

გ) ანარიცხები, რასაც ისინი კონცერტების დროს ახდევინებენ იმ ნაწარმოებთა შესრულებისათვის, რომლებიც არ არის დაცული საავტორო უფლებით.

3. ამ დადგენილებით გათვალისწინებული შენატანებისა და ანარიცხების გადარიცხვა ხდება იმ ინსტრუქციის წესით, რომელსაც გამოსცემენ სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 186.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. იმ დოკუმენტების ნუსხის შეცვლის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 23 მაისის დადგენილების „ა“ კარის 18, 24, 28, 31 და 34 პუნქტები (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 15, მუხ. 126; № 24, მუხ. 256; 1934 წ. № 1, მუხ. 35; № 14, მუხ. 138; 1935 წ. № 5, მუხ. 32; № 32, მუხ. 207) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„18) განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნის დოკუმენტებს მათ მყიდველებთან ანგარიშის გასწორების თაობაზე, რასაც ისინი ბანკების მეშვეობით აწარმოებენ: ა) მომსახურეობის გაწევისათვის, აგრეთვე სამუშაოს შესრულებისათვის ისეთი გაუნაღდებელი ანგარიშებით გადახდევინების შესახებ, რომელთათვისაც დაწესებულია უაქცეპტო ანგარიშსწორება; ბ) იმ საქონლის ღირებულების გადახდევინების შესახებ, რომელიც გადაცემულ იქნა შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წლის 16 იანვრის № 248 დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ, ხოლო რომლის ფასიც გადახდილი არ ყოფილა გადაცემის დროს შეპირებულ ვადაზე (სსრკ კან. კრ. 1931 წ. № 40, მუხ. 282), უკეთუ წარმოდგენილი იქნება: 1) „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში: ანგარიშები, მიმწოდებლის ფაქტურები, ცნობა იმ ბანკისა, სადაც გადამხდელს აქვს კონტოკორენტი, ბანკში ანგარიშის მიღების დროისა და კონტოკორენტიდან მისი გაუნაღდებლობის შესახებ; გადამხდელის ხელწერილი ანგარიშ-ფაქტურის მიღების თაობაზე, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებით ანგარიშსწორებისათვის — აგრეთვე ხელშეკრულების დედანიც; 2) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში: მიმწოდებლის ანგარიშ-ფაქტურები გადამხდელის წარწერით აქცეპტის შესახებ; იმ ბანკის ცნობები, სადაც გადამხდელს აქვს კონტოკორენტი, რომ ეს ანგარიშ-ფაქტურა განაღდებული არ არის მისი კონტოკორენტიდან, და მიმწოდებლისა და გადამხდელის შეთანხმება საქონლის გადაცემისა და განსაზღვრულ ვადაზე მისი განაღდების შესახებ.

24) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რადიოფიკაციისა და რადიოგადაცემის სრულიად საკავშირო კომიტეტის ადგილობრივი ორგანოების ანგარიშებს კერძო პირთაგან რადიომიმღებების და რადიოწერტეებით სარგებლობის სააბონენტო ქირის ვადაგადაცილებული შენატანის გადახდევინების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც ქირის შეტანის მოთხოვნის წარდგენის დღიდან ათმა დღემ განვლო, აგრეთვე სათანადო რეგისტრაციის გარეშე ან უნებართვოდ რადიოდანადგარების მოწყობისა და ექსპლოატაციისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქნას: ა) გაუნაღდებელი ანგარიში საბონემენტო ქირის ან ჯარიმის გადახდევინების შესახებ და ბ) ასლი აბონენტისათვის გაგზავნილი წერილობითი გაფრთხილებისა ქირის ან ჯარიმის შეტანის შესახებ აბონენტის ხელწერილით, რომ მან მიიღო ეს გაფრთხილება, ან სახლთმმართველობის აღნიშვნით, რომ აბონენტმა უარი სთქვა აღნიშნული ხელწერილის მიცემაზე.

28) რკინიგზების დირექციების უწყებებს, რომლებსაც ისინი კლიენტებს უგზავნიან რკინიგზების წესდების 97 მუხლის წესით განცხადებული პრეტენზიების აღიარების შესახებ, უკეთუ წარმოდგენილი იქნება უწყების დედანი აღიარებული თანხის აღნიშვნით.

31) სანახაობათა საწარმოების ბუხჰალტერიის მიერ გაცემულ ნუსხას საავტორო ჰონორარზე დრამატიული სპექტაკლებისათვის (დრამა, კომედია, ოდევილი, სკეტჩი და სხვ.) და სანახაობათა საწარმოების მიერ სსრ კავშირის სალიტერატურო ფონდში გადასარიცხ გამოსაღებზე.

34) სრულიად-საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ და მისი ფილიალების გაუნაღდებელ ანგარიშებს, რაც მიმართულია მარცვლეულის მყიდველებისა და ჩამბარებლებისადმი დადგენილ ვადაში დაუბრუნებელი სატომრო ტარის ღირებულების თაობაზე, აგრეთვე ოთხჯერადი რაოდენობის ჯარიმაზე აღნიშნული ტარის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის ანდა ამ ტომრების ისეთი სახით დაბრუნებისათვის, რაც ორი კატეგორიით უფრო ნაკლებია, ვიდრე პროდუქციით მიღებული ტომრები; სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილ უნდა იქნას: ა) სრულიად საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ ან მისი ფილიალების ანგარიშები; ბ) სრულიად-საკავშირო გაერთიანება „ზაგოტზერნოს“ ან მისი ფილიალების ცნობა ანგარიშის გაგზავნის დღისა და გადამხდელის მიერ მისი გაუნაღდებლობის შესახებ, რასაც დაერთვის საფოსტო ხელწერილი, რომ ხელწერილი მიღებულია გასაგზავნად ან გადამხდელის ხელწერილი, თუ მას უშუალოდ ჩაბარდა ანგარიში; გ) მყიდველთათვის გაგზავნილი შეტყობინება, რომ მათ პროდუქცია ტარასთან ერთად გაეგზავნათ, ხოლო პურის ჩამბარებლების მიმართ — დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტარის გაცემას და ვადას, რაც დაწესებულია ამ ტარის დასაბრუნებლად“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 187.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს კინოფიკაციის ტრესტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს კინოდანადგარების მუშაობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებისა და რენტაბელობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს გადააკეთოს მის სისტემაში შემავალი თბილისის კინოფიკაციის ტრესტი რესპუბლიკური მნიშვნელობის ტრესტად და ეწოდოს მას საქართველოს კინოფიკაციის ტრესტი.

საქართველოს კინოფიკაციის ტრესტის შტატები და საბრუნავი სახსრების ოდენობა შენარჩუნებულ იქნას იმ ფარგლებში, რაც დამტკიცებულია თბილისის კინოფიკაციის ტრესტისათვის.

2. მიენიჭოს საქართველოს კინოფიკაციის ტრესტს იურიდიული პირის უფლებები.

3. გადასცეს საქართველოს კინოფიკაციის ტრესტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ყველა კინოდანადგარი, გარდა იმ დანადგარებისა, რომლებიც აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

4. დამტკიცდეს საქართველოს კინოფიკაციის ტრესტის სამეურნეო ანგარიშის საწარმოების სია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 190.
თბილისი.

---

9. სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტორო ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 11 ნოემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტურო ფონდში გადარიცხვების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 57, მუხ. 590), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 26 თებერვლის დადგენილება „სსრ კავშირის საბჭოთა არქიტექტორების კავშირის საარქიტექტორო ფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 10, მუხ. 60).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 197.
თბილისი.

---

10. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წარმოებაში გაგზავნის პირობების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 29 იანვრის № 143 დადგენილებისა სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წარმოებაში გაგზავნის პირობების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, რაიონულ სამიწათმომქმედო განყოფილებებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა გაგზავნასთან დაკავშირებულ ხარჯებს გასწევენ სამიწათმოქმედო ორგანოები შრომის კანონთა კოდექსის სრული შესაბამისად.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს აუნაზღაუროს ხარჯები:

ა) სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — 1940 წლის გეგმის სახსრების ანგარიშში სათანადო სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

ბ) სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებსა და კოლმეურნეობებში, — საოპერაციო ხარჯების ანგარიშში ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ წარმოებაში მიმავალ სპეციალისტებს მივლინების დროს მიეცემათ ავანსი იმ საგზაო ხარჯების ანგარიშში, რომელიც მათ ეკუთვნის შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლის თანახმად, ხოლო საბოლოო ანგარიშს მათ გაუსწორებენ შესაბამისად რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები მუშაობის ახალ ადგილზე მისვლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ყველა იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, საიდანაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტები იგზავნებიან რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, — საბოლოო ანგარიში გაუსწორონ გაგზავნილ სპეციალისტებს.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს მისცეს საჭირო სახსრები საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებისათვის ავანსების მისაცემად, რომლებიც რაიონებში მიემგზავრებიან, ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშში და შემდგომ ჩაუთვალოს მათ ეს თანხები.

6. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალური სასწავლებლები 1938 წლამდე დაამთავრეს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და რაიონის სხვა ორგანიზაციებში სამუშაოდ გაგზავნის დროს, მთელი 1940 წლის განმავლობაში შეენახებათ ხელფასის ის განაკვეთები, რომლებსაც ისინი უკანასკნელი სამუშაოს ადგილის მიხედვით იღებდნენ, მაგრამ არაუმცირეს იმ განაკვეთებისა, რაც დაწესებულია იმ ორგანიზაციის საშტატო ცხრილით დამტკიცებული ახალი თანამდებობისათვის, სადაც აღნიშნული სპეციალისტი იგზავნება.

იმ სპეციალისტებს, რომლებმაც სასწავლებლები 1938-39 წლებში დაამთავრეს, ხელფასი მიეცემათ ახალი სამუშაო ადგილის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

7. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებსაც ერთ ადგილას განუწყვეტლივ 5 წელი უმუშავნიათ ან სხვა სამუშაო ადგილზე არიან გადაყვანილი ზემდგომი სამიწათმოქმედო ორგანოების მიერ, ყოველი ხუთი წლის გასვლის შემდეგ მიეცემათ ერთი თვით სამეცნიერო მივლინება იმ ორგანიზაციის ხარჯზე, სადაც სპეციალისტი მუშაობს.

8. გაუქმდეს მე-3 მუხ. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 5 თებერვლის დადგენილებისა „საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ წარმოებაში გაგზავნილ სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 1, მუხ. 3).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. თებერვლის 10. № 217.
თბილისი.

Собрание постановлений и распоряжений Правительства Грузии Груз. Груз. ССР

Груз ЗСК

3494
ეროვნული ბიბლიოთეკა

565/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილით ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № 66 შეკ. № 384 ტირაჟი 2000